

სასწავლო კურსის სილაბუსი

| | |
|------------------------------------|--|
| სასწავლო კურსის სახელწოდება | რეგიონული განვითარების პოლიტიკის საფუძვლები |
|------------------------------------|--|

| | |
|--------------------------------|-----------------------|
| სასწავლო კურსის სტატუსი | ონლიან სასწავლო კურსი |
|--------------------------------|-----------------------|

| | |
|------------------------------------|--|
| სწავლების ენა | ქართული |
| სასწავლო კურსის ფოკუს ჯგუფი | გუბერნატორის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტები, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. |

| | |
|-------------------------------|--|
| სასწავლო კურსის მიზანი | სასწავლო კურსის მიზანია: |
| | <p>ხელი შეუწყოს ცოდნის ამაღლებას რეგიონული განვითარების პოლიტიკის არსისა და მიზნების თაობაზე, ევროკავშირის და საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითადი ნიშნებისა და ამოცანების შესახებ.</p> <p>წაახალისოს ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირების პროცესი და გამოიწვიოს მეტი დაინტერესება და ჩართულობა რეგიონული განვითარების საკითხებში.</p> |

| | |
|------------------------------|--|
| სწავლის შედეგები | სასწავლო კურსის გავლის შემდეგ პირი შეძლებს: |
| ცოდნა და გაცნობიერება | <p>რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების, ისტორიული, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, ევროკავშირის კოჰეზიის (გათანაბრების) პოლიტიკის, რეგიონული განვითარების მარეგულირებელი საერთაშორისო შეთანხმებების, რეგიონული განვითარების პოლიტიკის მართვის, პროცესში მონაწილე ინსტიტუტების, დაფინანსების მექანიზმების, საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და მექანიზმების, რეგიონული განვითარების პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში ინტერსექტორული თანამშრომლობის შესახებ ცოდნის გაღრმავებას.</p> <p>რეგიონული პოლიტიკის არსის და მნიშვნელობის, რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებაში აქტიური ჩართულობის აუცილებლობის და სახელმწიფოს განვითარების პროცესში რეგიონული პოლიტიკის როლის გაცნობიერებას.</p> |

| | |
|--|---|
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითადი საკითხების იდენტიფიცირებას.</p> <p>ევროკავშირში რეგიონული განვითარების პოლიტიკის სფეროში მოქმედი ძირითადი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების იდენტიფიცირებას და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას.</p> <p>რეგიონული განვითარების პოლიტიკის სფეროში საქართველოში არსებული ინსტრუმენტების, ნორმების განმარტებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში სწორად გამოყენებას.</p> |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>რეგიონული განვითარების საკითხებზე არსებული ძირითადი გამოწვევების ხედვას, აგრეთვე რეგიონული განვითარების სფეროში მიმდინარე რეფორმების და ცვლილებების ზოგად ანალიზს და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას.</p> |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>რეგიონული განვითარების საკითხებზე დებატებში ჩართვას, განსხვავებული აზრის გაგებას და ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის გადმოცემას.</p> |
| <p>სწავლის უნარი</p> | <p>რეგიონული განვითარების საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების, საერთაშორისო პრაქტიკის და სხვა სიახლეების მიდევნებას და ცოდნის მუდმივად განახლებას.</p> |
| <p>ღირებულებები</p> | <p>ქვეყნის განვითარების საკითხში რეგიონული განვითარების პოლიტიკის მნიშვნელობის გააზრებას და დაცვას.</p> |

| | |
|--------------------------------------|--|
| <p>სწავლის მეთოდები</p> | |
| <p>ვიდეო ლექცია</p> | <p>ონლიან სასწავლო კურსი შედგება 10 ვიდეო ლექციისგან.</p> |
| <p>ელექტრონული სწავლება</p> | <p>ონლიან სასწავლო კურსის დაწყებამდე კურსის მონაწილე საკუთარი ცოდნის თვითშეფასებას ახორციელებს პრე-ტესტის საშუალებით, ხოლო სწავლის პროცესში - ბლიც კითხვების საშუალებით.</p> <p>კურსის მონაწილეს საშუალება აქვს დასვას კითხვები და მიიღოს პასუხები ელექტრონული ფორმით.</p> |
| <p>ელექტრონული რესურსით სწავლება</p> | <p>საკითხავი ძირითადი და დამატებითი მასალა მოცემულია ელექტრონული ფორმით.</p> |

| | |
|---------------------------------|--|
| <p>სწავლის შედეგის შეფასება</p> | <p>სწავლის შედეგის შეფასება ხორციელდება თვითშეფასების საფუძველზე. ონლიან სასწავლო კურსის გავლის შემდეგ კურსის მონაწილე პასუხს სცემს საბოლოო შეფასების ტესტებს.</p> |
|---------------------------------|--|

სასწავლო კურსის შინაარსი

| თემა | ძირითადი თემები |
|-----------------------|---|
| პირველი მოდული | |
| 1 | <p>თემა 1. ძირითადი კონცეფციები და ტერმინები</p> <p>განსახილველი საკითხები: ძირითადი ტერმინებისა და კონცეფციების განმარტება. რას გულისხმობს ტერმინი რეგიონი? რეგიონის კლასიფიკაცია. რა არის რეგიონალიზაცია და დეცენტრალიზაცია? დეცენტრალიზაციის სახეები: დეკონცენტრაცია, დელეგირება, დევიოლუცია.</p> <p>ტრენერი: დავით ლოსაბერიძე.</p> |
| 2 | <p>თემა 2. რეგიონული განვითარების პოლიტიკის თეორიული საფუძვლები</p> <p>განსახილველი საკითხები: რეგიონული განვითარების დეფინიცია. რეგიონული განვითარების პოლიტიკის თეორიების ზოგადი მიმოხილვა: ეგზოგენური და ენდოგენური მიდგომები, ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით მიდგომების კომბინაცია. რეგიონული განვითარების სფეროში ხშირად გამოყენებული თანამედროვე ტერმინების და კონცეფციების მოკლე განმარტებები: მდგრადი და ინკლუზიური განვითარების კონცეფცია, ტერიტორიების კონკურენტულობა და კლასტერები.</p> <p>ტრენერი: ირაკლი კახიძე.</p> |
| 3 | <p>თემა 3. ევროკავშირის რეგიონალური განვითარების პოლიტიკა</p> <p>განსახილველი საკითხები: განსახილველი საკითხები: ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ზოგადი დახასიათება. ევროკავშირის კოჰეზიის (გათანაბრების) პოლიტიკის ძირითადი მიზნები და ამოცანები. სტატისტიკური ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა (NUTS).</p> <p>ტრენერი: დავით ლოსაბერიძე.</p> |
| 4 | <p>თემა 4. ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები</p> <p>განსახილველი საკითხები: განსახილველი საკითხები: ევროკავშირის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების ზოგადი მიმოხილვა. რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF), ევროპის სოციალური ფონდი (ESF) და კოჰეზიის ფონდი (CF). ფონდების მართვის ზოგადი წესები და დაფინანსების პრიორიტეტები.</p> <p>ტრენერი: ირაკლი კახიძე.</p> |
| | <p>თემა 6. ევროკავშირის პოლიტიკა არაწევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების მხადაჭერის სფეროში</p> |

| | |
|----------------------|--|
| 5 | <p>განსახილველი საკითხები: ევროკავშირის რეგიონული განვითარების მხადაჭერის პოლიტიკა გაერთიანების წევრობის კანდიდატი და მეზობელი ქვეყნების მიმართ (ზოგადი მიმოხილვა) (IPA). ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და ფინანსური დახმარების მექანიზმები (ENP).</p> <p>ტრენერი: დავით ლოსაბერიძე.</p> |
| მეორე მოდული | |
| 6 | <p>თემა 6. მრავალდონიანი მმართველობა</p> <p>განსახილველი საკითხები: თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების ტრანსფორმაციის ტენდენციები და მრავალდონიანი მმართველობის წარმოშობის პირობები. მრავალდონიანი მმართველობის კონცეფცია და გამოწვევები.</p> <p>ტრენერი: ირაკლი კახიძე.</p> |
| 7 | <p>თემა 7. მრავალდონიანი მმართველობისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის ინსტრუმენტები</p> <p>განსახილველი საკითხები: მრავალდონიანი მმართველობისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის პრაქტიკა. საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი მრავალდონიანი მმართველობისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის ინსტიტუციური, პროგრამული, ფინანსური და სახელშეკრულებო ინსტრუმენტების მიმოხილვა.</p> <p>ტრენერი: ირაკლი კახიძე.</p> |
| მესამე მოდული | |
| 8 | <p>თემა 8. რეგიონული განვითარების პოლიტიკის ტერიტორიული საფუძვლები საქართველოში</p> <p>განსახილველი საკითხები: საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ისტორიული რეტროსპექტივა. დღევანდელი სიტუაცია: მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო რწმუნებულები ავტონომიური რესპუბლიკები.</p> <p>ტრენერი: დავით ლოსაბერიძე.</p> |
| 9 | <p>თემა 9. რეგიონული განვითარების პოლიტიკა საქართველოში (ზოგადი დახასიათება)</p> <p>განსახილველი საკითხები: განსახილველი საკითხები: რეგიონული განვითარების პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა: საკანონმდებლო რეგულაციები, სტრატეგიები, პროგრამები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები. ასოცირების შეთანხმება და რეგიონული პოლიტიკა.</p> <p>ტრენერი: ირაკლი კახიძე.</p> |
| 10 | <p>თემა 10. რეგიონული განვითარების ძირითადი ინსტიტუტები და ინსტრუმენტები საქართველოში</p> |

| | |
|--|---|
| | <p>განსახილველი საკითხები: რეგიონული განვითარების პროცესში მონაწილე ინსტიტუტები. რეგიონული განვითარების დაფინანსების მექანიზმები. რეგიონული განვითარების ფონდი. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები.</p> |
| | <p>ტრენერი: დავით ლოსაბერიძე.</p> |
| | |